საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№16/17

„14“ მარტი 2017 წ.

შ.პ.ს. „დეკორუმი“-ს დირექტორს
ბატონ გიორგი მედულაშვილს.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილისა (№86) და ჩაჩავას ქუჩების გადაკვეთაზე არსებული შენობისათვის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის შესახებ.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში დიდუბის რაიონში, ბელიაშვილისა (№86) და ჩაჩავას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ შენობას მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და შემდგომი რეკონსტრუქციის, კერძოდ მასზე ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის თვალსაზრისით. არსებული შენობა (ს/კ№01.13.02.007.01.00) აგებულია შ.პ.ს. „სტუდიო 24“-ს მიერ 2009 წელს დამუშავებული პროექტის მიხედვით, თანამედროვე სამაშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა საფუძველზე. შენობა ნახევრადსარდაფის მქონე ორ სართულიანია. იგი გეგმასი მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით l×b=26.80×21.65მ. კონსტრუქციულად გადაწყვეტილი მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. ნახევრადსარდაფის სიმღლეა h=360სმ. პირველი და მეორე სართულების სიმაღლე 480სმ. სახურავის ფარგლებში არსებობს არასრული სართული, სიმაღლით 290სმ. ჩარჩოს სვეტები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით b×h=40×40სმ. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონისწიბოვანი ფილები სისქით δ=18სმ. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ. ჩარჩოს სვეტების შევსებად პერიმეტრზე მიღებულია წვრილი საკედლე ბლოკის წყობა (სისქით 30სმ.) ცემენტ-ქვიშის ხსნარზე.

საძირკვლები მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანია, ძირის ზომებით l×b=200×200სმ; რომლებიც საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე დაფუძნებულია კენჭნარებზე ქვიშის შემავსებელით 30%-მდე.

სიმკვრივე ρ=1.90გრ/სმ^3.

პირობითი საანგარიშო წინაღობა R$_0$=4.5კგ/სმ^2.

დეფორმაციის მოდული E$_0$=350კგ/სმ^2.

ბეტონის სიმტკიცის კლასი შეესაბამება საპროექტოს (კლ.B20) R_b=117.0კგძ/სმ^2.

შემოწმებით დადგინდა, რომ საკვლევ შენობას საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით ან რაიმე სხვა მიზეზით მიღებული დაზიანებები და დეფორმაციები არ აღენიშნება და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

ზემოთ აღინიშნა, რომ შ.პ.ს. „დეკორუმი“-სხელმძღვანელობას სურვილი აქვს ჩაატაროს სარეკონსტრუქციო სახის სამუშაოები, კერძოდ არსებულ შენობას დააშენოს ერთი სრული სართული, რისთვისაც წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი. საკითხის შესახებ შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ ჩატარებული გაანგარიშების თანახმად როგორც საძირკვლები, ასევე სვეტების მზიდუნარიანობა საკმარისია ერთი სართულის დამატებით გამოწვეული დატვირთვების მისაღებად.

(მაგალითად სვეტის სატვირთო ფართობი შეადგენს $A_{სვ}$=32მ.^{2} სვეტის მზიდუნარიანობა $Ф_{სვ}$= $Ф_b$+ $Ф_S$= ($A_{სვ}$xR_b)+(A_SxR_s)=(40x40x105.3)+(8x2.54x4450)= =168480+90424=258904კგ≈260ტ.

ამჟამად სვეტზე გადაცემული დატვირთვა სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით შეადგენს

$N_{სვ}$=115.2ტ.

ერთი სართულის დამატებით სვეტზე გადაცემული დატვირთვა სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით იქნება

$N_{სვ}$=160ტ.

როგორც ჩანს სვეტის მზიდუნარიანობა კმაყოფილდება.

დასკვნა:

სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა პნ01.01-09“ ცხრილი №8 საფუძველზე, რეკონსტრუქციით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება (ერთი სართულის დაშენება) შესაძლებელია და არ გამოიწვევს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას შენობის მუშაობის ხასიათზე.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/